

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge



№ გ-04/297.15

11.05 2015წ.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 იანვრის #21, 2 მაისის #389 და 2014 წლის 27 იანვრის #124 განკარგულებების საფუძველზე, სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების უფლება მიეცა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 იანვრის #21, 2 მაისის #389 და 2014 წლის 27 იანვრის #124 განკარგულებების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებასთან დაკავშირებით გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. ვისთან გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (იურიდიული პირების შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ასევე საიდენტიფიკაციო კოდი);
2. ხელშეკრულებების გაფორმების და შესრულებული სამუშაოების (მომსახურებების) თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თარიღები;
3. რა იყო ხელშეკრულებების საგანი;
4. რამდენს შეადგენდა შესყიდვების სახელშეკრულებო და ფაქტიური ღირებულება;

5. როგორ განხორციელდა ანგარიშსწორება (წინასწარ სრულად, წინასწარ და ეტაპობრივად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ და ა.შ.)

გთხოვთ, საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდოთ ცალ-ცალკე, ხელშეკრულებების მიხედვით და მიუთითოთ საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების რეკვიზიტები.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი ა. ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე

შემსრულებელი: სალომე სალარაძე